არაკომერციული იურიდიული პირი
„საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია“

ფინანსური ანგარიშგება
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

31 დეკემბერი 2013

არაკომერციული იურიდიული პირი „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია“

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2-3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 4
საქმიანობის და წმინდა აქტივების ცვლილების ანგარიშგება 5
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 7-11

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია არაკომერციული იურიდიული პირის „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის" („ბაფი") ფინანსურ ანგარიშგებასთან („ფინანსური ანგარიშგება") მიმართებაში ბაფის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯნვის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ბაფის ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს და წმინდა აქტივების ცვლილებას ამ თარიღში დასრულებული წლის განმავლობაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა არჩეული ბუღალტრული პრინციპები გამოყენებული და არსებითი გადახრები წარმოდგენილი და ახსნილი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში ბაფის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- ბაფში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ბაფის ფინანსურ მდგომარეობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ბაფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების გახორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2014 წლის 23 მაისს.

ლავრენტი ჭუმბურიძე	ქეთევან აბესალაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი	ბუღალტერი

Capto group
67, Agmashenebeli Ave.
Tbilisi 0102, Georgia
T +995 32 255 88 99 F +995 32 295 11 02
www.rsmcapto.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

აიპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის" („ბაფი") დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას:

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი ბაფის თანდართული ფინანსური ანგარიშგების („ფინანსური ანგარიშგება"), რომელიც მოიცავს ფინასური მდგომარეობის ანგარიშგებას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ამ თარიღში დასრულებული წლის საქმიანობის და წმინდა აქტივების ცვლილების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და განმარტებით შენიშვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე. პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც უნდა უზრუნველყოფდეს მომზადებას და სამართლიან წარდგენას ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც არ შეიცავს როგორც შეცდომით, ისე თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ტარდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენ დავიცვათ ეთიკის მოთხოვნები და დავგეგმოთ და განვახორციელოთ აუდიტი გონივრული რწმუნების მოსაპოვებლად იმის შესახებ, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება თავისუფალი არსებითი უზუსტობებისგან.

Capto Group is a member of the RSM network. Each member of the RSM network is an independent accounting and advisory firm which practices in its own right. The RSM network is not itself a separate legal entity in any jurisdiction.

Capto group
Connected for Success

RSM

აუდიტი მოიცავს პროცედურების გახორციელებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ინფორმაციაზე. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის მსჯელობაზე, მათ შორის ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც თაღლითობით, ისე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკის შეფასებაზე, ამ რისკის შეფასებისას, აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც შეესაბამება ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და სამართლიან წარდგენას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკის და ბუღალტრული შეფასებების შესაბამისობის შეფასებას.

ჩვენ ვთლით, რომ აუდიტორული მტკიცებულებები, რომლებიც ჩვენ მოვიპოვეთ არის საკმარისი და შესაფერისი საფუძველი აუდიტორული მოსაზრების გამოსახატავად.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბაფის ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მისი საქმიანობის შედეგებს ამ თარიღში დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების მე-2 განმარტებით შენიშვნაში აღწერილი ბუღალტრული საფუძვლების შესაბამისად.

კაპტო ჯგუფი
RSM-ის წევრი
23 მაისი 2014

Capto Group. The member firm of RSM

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2013	31 დეკემბერი 2012
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	119,158	120,669
არამატერიალური აქტივები		3,835	4,476
მონაწილეობა სხვა საწარმოში	4	306,400	306,400
		429,393	431,545
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5	109,318	135,974
მოთხოვნები და წინასწარი გადახდები	6	290,190	218,388
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	608,171	596,993
		1,007,679	951,355
სულ აქტივები		**1,437,072**	**1,382,900**
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	140,396	123,650
		140,396	123,650
სულ ვალდებულებები		**140,396**	**123,650**
წმინდა აქტივები			
აკუმულირებული მოგება		1,296,676	1,259,250
სულ წმინდა აქტივები		**1,296,676**	**1,259,250**
სულ ვალდებულებები და წმინდა აქტივები		**1,437,072**	**1,382,900**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2014 წლის 23 მაისს.

ლავრენტი ჭუმბურიძე
აღმასრულებელი დირექტორი

ქეთევან აბესალაშვილი
ბუღალტერი

საქმიანობის და წმინდა აქტივების ცვლილების ანგარიშგება 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის *(ქართულ ლარში)*

წმინდა აქტივების ცვლილება	შენიშვნა	2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი
ამონაგები	9	589,619	647,316
სხვა შემოსავლები	10	404,596	345,321
გამოყენებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	11	(132,062)	(169,667)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელო		(531,378)	(495,340)
იჯარა		(82,839)	(84,039)
მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი		(56,309)	(77,340)
თანამშრომელთა მივლინებები საზღვარგარეთ		(29,536)	(2,421)
ცვეთა და ამორტიზაცია	3	(25,778)	(25,508)
სხვა ხარჯები		(98,887)	(105,094)
წმინდა აქტივების ცვლილება მოგების გადასახადამდე		**37,426**	**110,568**
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა აქტივების ცვლილება		**37,426**	**110,568**
წმინდა აქტივები პერიოდის დასაწყისში		**1,259,250**	**1,148,682**
წმინდა აქტივები პერიოდის ბოლოს		**1,296,676**	**1,259,250**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2014 წლის 23 მაისს.

ლავრენტი ჭუმბურიძე
აღმასრულებელი დირექტორი

ქეთევან აბესალაშვილი
ბუღალტერი

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის *(ქართულ ლარში)*

	2013 წლის **31** დეკემბერს დასრულებული წელი	2012 წლის **31** დეკემბერს დასრულებული წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	686,553	762,240
მიღებული საწევროები	114,904	76,753
მიღებული დივიდენდი	114,836	107,074
სხვა შემოსავლები	18,015	67,877
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(146,863)	(205,871)
გადახდილი ხელფასები	(426,419)	(398,843)
გადახდილი საწევრო	(8,285)	(6,681)
გადახდილი ადმინისტრაციულ და სხვა ხარჯები	(169,198)	(142,058)
გადახდილი გადასახადები	(172,633)	(164,421)
კურსთა შორის სხვაობა	20,780	(4,707)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**31,690**	**91,363**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
გრელვადიანი აქტივის რეალიზაცია	-	2,907
ძირითადი საშუალებების შეძენა	(20,512)	(19,278)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(20,512)**	**(16,371)**
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა	**11,178**	**74,992**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**596,993**	**522,001**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	**608,171**	**596,993**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2014 წლის 23 მაისს.

ლავრენტი ჭუმბურიძე

აღმასრულებელი დირექტორი

ქეთევან აბესალაშვილი

ბუღალტერი

1 ორგანიზაცია

არაკომერციული იურიდიული პირი „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია“ („ბაფი“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში ფუნქციონირებადი არასამეწარმეო ორგანიზაცია.

ბაფი დაფუძნდა 1998 წელს შვიდი ფიზიკური პირის მიერ.

ბაფის იურიდიული მისამართია: თბილისი, წერეთლის გამზ. #61.

ბაფი, როგორც პროფესიული ორგანიზაცია, ახორციელებს საქართველოს კერძო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შემუშავებას, საკანონმდებლო სფეროს ლობირებას, ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების თარგმნასა და გამოცემას. ეკონომიკური საქმიანობა მისი დამხმარე ფუნქციაა, რომელიც ძირითადად უკავშირდება სპეციალისტების გადამზადებასა და პროფესიულ სერტიფიცირებას.

ბაფი საქმიანობას ეწევა თბილისში მდებარე სათაო ოფისისა და 9 რეგიონალური და რაიონული ფილიალის მეშვეობით:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალი;
- იმერეთის რეგიონალური ფილიალი;
- სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონალური ფილიალი;
- გურიის რეგიონალური ფილიალი;
- კახეთის რეგიონალური ფილიალი;
- ხაშურის რაიონული ფილიალი;
- რუსთავის რაიონული ფილიალი;
- ფოთის რაიონული ფილიალი;
- გორის რაიონული ფილიალი.

ბაფს 2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მუდმივად დასაქმებული ჰყავდა 39 თანამშრომელი.

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ასპექტები

მომზადების საფუძვლები. ბაფის სათაო ოფისისა და ფილიალების ნაერთი ფინანსური ანგარიშგება შედგენილია „მცირე საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სტანდარტის“ („მსს“) პრინციპებზე დაყრდნობით. მსს მიღებულია საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილებით 2005 წლის 5 აპრილს. ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში სათაო ოფისსა და ფილიალებს შორის მოთხოვნები და ვალდებულებები ელიმინირებულია.

ანგარიშების პერიოდი. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს პერიოდს 2013 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე, წინა პერიოდის შესადარისი მონაცემებით.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები ანგარიშგებაში წარმოდგენილია თვითღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვს შორის, სხვაობით. ცვეთის დარიცხვა წარმოებს წრფივი მეთოდით. სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- ოფისის აღჭურვილობა	3-5 წელი
- ავეჯი და ინვენტარი	2-4 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი

მონაწილეობა სხვა საწარმოში. ბაფი ინვესტიციებს აღრიცხავს თვითღირებულებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები აღრიცხულია თვითღირებულებასა და ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებულ წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების შეფასებისას გამოიყენება „ფიფო“ მეთოდი.

ფინანსური ინსტრუმენტები. ბაფი ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ის ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული კონტრაქტის პირობების მხარე. ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების რეალური ღირებულება თავდაპირველად აღიარებისას, როგორც წესი, წარმოდგენილია გარიგების ფასით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულების შემოწმება გაუფასურებაზე. საწევრო გადასახადის მთლიან მოთხოვნაზე გაუფასურების ანარიცხის შედგენა ხდება, როცა მოთხოვნა საერთოდ არ არის დაფარული:

- ბოლო 3 წლის განმავლობაში ნამდვილი წევრების შემთხვევაში;
- ბოლო 5 წლის განმავლობაში ასოცირებული წევრების შემთხვევაში;
- ბოლო 2 წლის განმავლობაში კორპორაციული წევრების შემთხვევაში.

ამონაგები, სხვა შემოსავლები და ხარჯები. შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით - მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ხარჯებად აღიარებულია პერიოდის შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

მოგების გადასახადი. ბაფის შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი (საწევროები, დივიდენდი და სარგებელი საბანკო დეპოზიტებიდან) გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან. შესაბამისად ორგანიზაციას აქვს საგადასახადო ზარალი. გადავადებული მოგების გადასახადის აღიარება არ ხდება, ვინაიდან არ ივარაუდება, რომ ბაფს ექნება საგადასახადო მოგება.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში. ბაფის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოდგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი („ლარი“).

უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება საანგარიშგებო თარიღში ხორციელდება ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ გადაფასდება. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსები საანგარიშგებო პერიოდში:

	აშშ დოლარი
გაცვლითი კურსი 2013 წლის 31 დეკემბერს	1.74
გაცვლითი კურსი 2012 წლის 31 დეკემბერს	1.66

3 ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალება	სხვა	სულ
ღირებულება					
1 იანვარი 2013	**111,910**	**52,144**	**48,739**	**27,577**	**240,370**
შეძენა	7,237	14,175	-	7,675	29,087
გასვლა	(19,702)	(1,099)	-	(4,638)	(25,439)
31 დეკემბერი 2013	**99,445**	**65,220**	**48,739**	**30,614**	**244,018**
დაგროვილი ცვეთა					
1 იანვარი 2013	**(76,744)**	**(32,544)**	**(6,000)**	**(4,413)**	**(119,701)**
პერიოდის ხარჯი	(11,198)	(7,710)	(4,800)	(1,427)	(25,135)
გასვლით გამოწვეული შემცირება	18,908	1,068	-	-	19,976
31 დეკემბერი 2013	**(69,034)**	**(39,186)**	**(10,800)**	**(5,840)**	**(124,860)**
ნაშთი 31 დეკემბერი 2013	**30,411**	**26,034**	**37,939**	**24,774**	**119,158**

4 მონაწილეობა სხვა საწარმოში

	31 დეკემბერი 2013	**31 დეკემბერი 2012**
შპს „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი“ - 51%	306,000	306,000
შპს „ჟურნალი ბუღალტერი აღრიცხვა-ანგარიშგება“ - 20%	400	400
სულ მონაწილეობა სხვა საწარმოში	**306,400**	**306,400**

5 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	31 დეკემბერი 2013	**31 დეკემბერი 2012**
გამოშვებული სახელმძღვანელოები	82,179	112,965
გამოსაშვებად მზადების პროცესში მყოფი სახელმძღვანელოები	22,054	16,724
სხვა	5,085	6,285
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	**109,318**	**135,974**

6 მოთხოვნები და წინასწარი გადახდები

	31 დეკემბერი 2013	31 დეკემბერი 2012
მოთხოვნები წევრებისგან (საწევრო გადასახდი, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით)	220,272	180,666
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	55,976	23,605
სხვა	13,942	14,117
სულ მოთხოვნები და წინასწარი გადახდები	**290,190**	**218,388**

7 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2013	31 დეკემბერი 2012
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე და სალაროში	46,110	233,027
ფული სადეპოზიტო ანგარიშებზე	562,061	363,966
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**608,171**	**596,993**

სადეპოზიტო ანგარიშებზე თანხა ძირითადად განთავსებულია აშშ დოლარში. უცხოურ ვალუტაში კონვერტირების პრაქტიკას ბაფი იყენებს ეროვნული ვალუტის გაუფასურებიდან მოსალოდნელი ზარალის თავიდან აცილების მიზნით.

8 ვალდებულებები და მიღებული ავანსები

	31 დეკემბერი 2013	31 დეკემბერი 2012
მიღებული ავანსები	96,042	80,322
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	14,254	13,050
სხვა	30,100	30,278
სულ ვალდებულებები და მიღებული ავანსები	**140,396**	**123,650**

9 ამონაგები

	2013	2012
სასწავლო პროცესი და სერთიფიცირება	346,343	325,457
საბუღალტრო პროგრამა „ორისის“ ინსტალაცია	142,073	203,423
სახელმძღვანელოების რეალიზაცია	90,906	108,843
სხვა	10,297	9,593
სულ ამონაგები	**589,619**	**647,316**

10 სხვა შემოსავლები

	2013	2012
საწევროები	205,610	178,398
დივიდენდი	120,870	112,710
სარგებელი საბანკო დეპოზიტებიდან	49,941	43,549
სხვა	28,175	10,664
სულ სხვა შემოსავლები	**404,596**	**345,321**

2013 წლის საწევროები შედგება 108,213 ლარის კორპორაციული წევრების საწევროებისგან და 97,397 ლარის ნამდვილი და ასოცირებული წევრების საწევროებისგან. კორპორაციული საწევრო გადასახადის ოდენობა დამოკიდებულია წევრის შემოსავალზე და მერყეობს 250 ლარიდან 5,000 ლარამდე.

11 გამოყენებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2013	2012
სახელმძღვანელოები	58,265	69,126
საბუღალტრო პროგრამა „ორისი“	52,132	84,130
სხვა	21,665	16,411
სულ გამოყენებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	**132,062**	**169,667**